

**საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
დეკლარაცია**
**ფასიანი ქაღალდების სესხის გარიგების განხორციელებასთან
დაკავშირებული რისკების შესახებ**

წინამდებარე დეკლარაცია ფასიანი ქაღალდების სესხის გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (შემდგომში დეკლარაცია) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე დეკლარაცია აღწერს ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებების განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთან, წინამდებარე დეკლარაცია არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებებთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო რისკს, ვინაიდან ამგვარი გარიგებების დროს შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა სიტუაცია, და მხოლოდ კლიენტს აძლევს ზოგად წარმოდგენას მათ შესახებ. წინამდებარე დეკლარაციის მიზანია კლიენტის გაფრთხილება ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის შესახებ.

ზოგადად, რისკი წარმოადგენს ზარალის წარმოშობის შესაძლებლობას ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებების განხორციელებისას სხვადასხვა ფაქტორის შესაძლო არასასურველი ზემოქმედების შედეგად. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი რისკები, რომლებთანაც დაკავშირებული იქნება კლიენტის მიერ ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებები.

ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის გარიგებების განხორციელებისას კლიენტს წარმოექმნება ყველა ის შესაძლო რისკი, რომელიც აღწერილია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგადი რისკების დეკლარაციაში, მათ შორის სისტემური რისკი, საბაზრო რისკი და მისი სახეობები, ლიკვიდურობის რისკი, საკრედიტო რისკი, სამართლებრივი რისკი, ოპერაციული რისკი და სხვა. თითოეულმა აღნიშნულმა რისკმა, ისევე როგორც მათმა ერთობლიობამ, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ რისკებს:

1. კონტრაგენტის რისკი

ბროკერი ახორციელებს ფასიანი ქაღალდების სესხის გაცემის ოპერაციებს მხოლოდ პროფესიონალი კონტრაგენტების მეშვეობით, მათ შორის: prime-broker-ების, კასტოდიანების, კლირინგული ორგანიზაციების ან ლიცენზირებული SBL (stock borrow & lending) პროვაიდერების. აღნიშნული ორგანიზაციები ბროკერის წინაშე პასუხისმგებლობას იღებენ ფასიანი ქაღალდების დაბრუნებაზე.

კლიენტი ეთანხმება, რომ:

- მსესხებელ კონტრაგენტს აქვს უფლება განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ვადამდე დაბრუნება (Recall), რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სესხის გარიგების ვადამდე შეწყვეტა;
- ცალკეულ შემთხვევებში, ფასიანი ქაღალდების დაბრუნების დაგვიანებისას, შესაძლებელია ბირჟის ან კლირინგული ორგანიზაციის მიერ Buy-In პროცედურის გამოყენება;

- ბროკერი არ იძლევა გარანტიას, რომ ფასიანი ქაღალდების დაბრუნების თარიღისთვის ბაზარზე იქნება საკმარისი ლიკვიდურობა იდენტური ფასიანი ქაღალდების ხელახალი შესაძენად, რაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი დაბრუნების დაგვიანება;
- სესხში გადაცემულ ფასიან ქაღალდებზე განხორციელებული კორპორატიული ქმედებები შესაძლოა შესრულდეს ფულადი კომპენსაციის (Manufactured Dividend) ფორმით და არა ნატურალური ფორმით;
- მსესხებლის დეფოლტის შემთხვევაში ბროკერი იყენებს არსებულ უზრუნველყოფას კლიენტისთვის ფასიანი ქაღალდების დასაბრუნებლად; ამასთან, შესაძლებელია შეფერხებები, რომლებიც დაკავშირებულია უზრუნველყოფის რეალიზაციასთან.

ბროკერი პასუხისმგებელია პროფესიონალი კონტრაგენტის შერჩევისა და ოპერაციების სწორ შესრულებაზე, თუმცა ვერ გამორიცხავს ინფრასტრუქტურულ შეფერხებებს, კორპორატიულ ქმედებებს ან კონტრაგენტის მიერ ფასიანი ქაღალდების სავალდებულო დაბრუნებასთან დაკავშირებულ რისკებს.

2. ფასიანი ქაღალდებით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციის შეუძლებლობის რისკი

ეს რისკი მოიცავს ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული უფლებების არარეალიზების შესაძლებლობას, მათ შორის დივიდენდების მიღების, აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის, სააქციო საზოგადოების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვაში მონაწილეობის უფლებებს და სხვა. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში სესხის პერიოდში კლიენტმა შესაძლოა მიიღოს კორპორატიული ქმედებების კომპენსაცია ფულადი ეკვივალენტის (Manufactured Dividend) სახით.

3. ვადამდე დაბრუნების რისკი (Recall Risk)

მსესხებელ კონტრაგენტს შეუძლია ფასიანი ქაღალდების ვადამდე დაბრუნება. კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სესხის განთავსების პერიოდი შესაძლოა აღმოჩნდეს მოსალოდნელზე მოკლე, რაც გამოიწვევს მოსალოდნელი შემოსავლის შემცირებას.

4. ფასიანი ქაღალდების დროებითი მიუწვდომლობის რისკი (Unavailability Risk)

სესხად გადაცემული ფასიანი ქაღალდები მიუწვდომელია გასაყიდად სესხის დასრულებამდე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი ან მიუღებელი მოგება, ვინაიდან კლიენტს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მათი გაყიდვა სესხის პერიოდში.

5. მსესხებლის დეფოლტის რისკი (Counterparty Default Risk)

თუ მსესხებელი ვერ დააბრუნებს ფასიან ქაღალდებს, ბროკერი ახორციელებს უზრუნველყოფის რეალიზაციას, რის გამოც შესაძლებელია მოხდეს ფასიანი ქაღალდების დაბრუნების დროებითი შეფერხება.

6. საბაზრო ვოლატილობის რისკი ფასიანი ქაღალდების დაბრუნების მომენტში

თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულება დაბრუნების თარიღისთვის შემცირდა, აღნიშნული დანაკარგი კლიენტს არ აუნაზღაურდება, ვინაიდან საბაზრო ფასი დამოუკიდებლად ყალიბდება.

7. კონტრაგენტის ლიკვიდურობის რისკი

აღნიშნული რისკი დაკავშირებულია კონტრაგენტის მიერ კლიენტის წინაშე ვალდებულებების არადროულად შესრულებასთან, ბაზარზე არსებული სიტუაციის (thin liquidity) გამო ან კონტრაგენტის მხრიდან მისი ფინანსური ვალდებულებების დაუყოვნებლივი და ერთდროული შესრულების მოულოდნელი აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში.

წინამდებარე დეკლარაცია არ ისახავს მიზნად, კლიენტს აიძულოს, უარი თქვას ბროკერთან ურთიერთობაზე, არამედ გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს კლიენტს, შეაფასოს რისკები და პასუხისმგებლობით მიუდგეს კლიენტსა და კომპანია „რიონი კაპიტალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია გასაგებია მისთვის და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს განმარტება რიონი კაპიტალისგან ან შესაბამის საკითხებში სპეციალიზირებული კონსულტანტისგან.